საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 55

2018 წ. "13" 04

ქ. თბილისი

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სახელოვნებათმცოდნეო კვლევების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის, 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3^1 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 27^6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სახელოვნებათმცოდნეო კვლევების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 13 აპრილის №17 სხდომის ოქმის მე-3 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ.№1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ირაკლი ბურდული

მდივანი
ნინო ჩანადირი